ბაზისბანკი
BASISBANK
ჰუალინგ ჯგუფის წევრი

**სს “ბაზისბანკი” გიწვევთ კონკურსში მონაწილეობისათვის და გთხოვთ წარმოადგინოთ თქვენი წინადადებები**

- გამარჯვებული უზრუნველყოფს სს „ბაზისბანკის“ სათავო ოფისის თანამშრომელთათვის (დაახლოებით 300 ადამიანი) სასადილოს ფუნქციონირებას 1 წლის ვადით (შემდგომი გაგრძელების პირობით);

- სს „ბაზისბანკის“ სათავო ოფისში მოწყობილია სამზარეულო და სასადილო შესაბამისი სტანდარტების და თანამედროვე დიზიანის მიხედვით;

- ადგილმდებარეობა: ქ. თბილისი, ქ. წამებულის N1 (სს „ბაზისბანკის“ სათავო ოფისი)

www.basisbank.ge

# სამუშაოს ტექნიკური აღწერილობა და მომსახურებათა ჩამონათვალი

**პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული მომსახურება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:**

- ❑ თანამშრომლების კვებით უზრუნველყოფაზე მომსახურების გაწევა უნდა მოხდეს ყოველ სამუშაო დღეს (ორშაბათი-პარასკევი) 10:00–დან 17:00 საათამდე;
- ❑ სათავო ოფისის თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენს დაახლოებით 300 ადამიანს;
- ❑ საკვები უნდა დამზადდეს სურსათის უვნებლობის მოთხოვნების სრული დაცვით, საკვების მომზადებისა და მომსახურების ყველა დადგენილი ნორმისა და ჰიგიენის წესების დაცვით;
- ❑ ტრანსპორტირების დროს დაცული უნდა იყოს კვების სურსათის უვნებლობის ნორმები;
- ❑ საკვები უნდა იყოს დაბალანსებული (ხორცი, თევზი, ფრინველი, კვერცხი, რძის პროდუქტები, მარცვლეული, ბურღულეული, ხილი და ბოსტნეული);
- ❑ შემოთავაზებული საკვები სავალდებულოა იყოს ცვლადი და მენიუ შეიცვალოს ყოველდრიურად;
- ❑ უზრუნველყოს საკვები ნარჩენების მართვა და გატანა ბანკის ტერიტორიიდან ყოველდღიურად;
- ❑ მომსახურებაში უნდა შედიოდეს მომსახურე პერსონალი (ჭურჭლის მრეცხავი/დამლაგებელი, საკვების გამცემი, მოლარე) სპეციალური უნიფორმით;
- ❑ საჭიროების შემთხვევაში სასურველია ღონისძიების ფურშეტით, ლანჩით და/ან ყავის შესვენებით უზრუნველყოფა
- ❑ შეთანხმებული ფასების ცვლილება შესაძლებელია სეზონურად, წელიწადში ორჯერ, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;
- ❑ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იქნება სანქციები სახელშეკრულებო ვალდებულებების თითოეული დარღვევისათვის, მათ შორის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ფასების თვითნებური ცვლილების, არაჰიგიენური მომსახურების, პროდუქციის ხარისხის გაუარესების და სხვა მსგავსი დარღვევების გამოვლენისათვის; ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ბანკის მიერ შეიქმნება მუდმივმოქმედი ხარისხის კონტროლის კომისია;

# <u>პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია</u>

- პრეტენდენტის რეკვიზიტები,

  კომპანიის სრული დასახელება,

  საიდენტიფიკაციო კოდი,

  იურიდიული მისამართი,

  მომსახურე ბანკი, ანგარიშის ნომერი;
- დეტალური შეთავაზება (სრული მენიუ ფასებით, იხ. დანართი);
- კომპანიის მოღვაწეობის შესახებ ინფორმაცია, საქმიანობის მოკლედ აღწერილობა (გამოცდილება, კლიენტების სია), რეკომენდაციები;

# <u>კონტაქტი</u>

პრეტენდენტებმა ზემოაღნიშნული დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ არაუგვიანეს **<u>2022 წლის 15 მაისისა</u>**

**სს ბაზისბანკი, შესყიდვების ჯგუფის უფროსი - გაგა ქემერტელიძე**

**მისამართი:** ქ. თბილისი, ქ. წამებულის N1

**ტელ**: (+995 32) 922 922 (+ 278)

(+995 79) 40 48 94

**ელ.ფოსტა:** tenders@basisbank.ge

# გმადლობთ
# ყურადღებისთვის